ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 84

დ. ჩხოროწყუ

29 ივნისი , 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ კვირკველიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი/მ „ცაბუ გოგუა" წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ვეფხვია იზორიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი №1 -ში ჩამოთვლილი საქონელი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 850 (რვაასორმოცდაათი) ლარს .

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.4. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

4.5. ხელშეკრულებისკონტროლს ახორციელებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის ადმინისტრაციული სამსახური.

5. მისაწოდებელი საქონლის მიწოდების ვადები

5.1 მისაწოდებელი საქონლის მიწოდება „მიმწოდებლის" მხრიდან განახორციელდება 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მისაწოდებელი საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფომების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფელაბომისილი წარმომადგენელი, რომლებიც საქონლის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამისს მიღება-ჩაბარების აქტს.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული საქონლის მიწოდებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ელ. ანგარიშფაქტურა, ზედნადები ან მიღება-ჩაბარების აქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.3 ანგარიშწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების

შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის მიერ მითითებული მონაცემების მიხედვით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: –მისაწოდებელი საქონლის მიწოდების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

12.2 შემსყიდველი ვალდებულია: – უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. თუ მიმწოდებელი: ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გათვალისწინებულ ვადაში; ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

13.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას; ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

13.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.4ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობის პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით.(შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში)

13.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინო
მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.აღნიშნულ
შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულები
შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. დაუძლეველი ძალა

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობი
გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს მაჟორული პირობები
ზეგავლენით.აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრ
ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
15.2 თუ ერთ–ერთი მხარე ფორს მაჟორული პირობების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგ
ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარე
მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდებ
ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
15.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედები
დასრულებისთანავე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალურ
მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორი
ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელ
ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნი
შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნებ
საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარ
არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღ
ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტ
ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელ
გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. ინტერესთა კონფლიქტი

19.1 შემსყიდველი ორგანიზაცია არ უნდა იმყოფებოდეს ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან, საქართველ
საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის გათვალისწინებით.

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარ
გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენ
ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
20.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლ
დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21.გადასახადები და დაბეგვრა

21.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახად
მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

22.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის
ივლისის ჩათვლით.
22.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალ

23. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"

ა.(ა)ი.პ. "ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა
და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი"
დირექტორი: /შ.ჯვირკველია/
დაბა ჩხოროწყუ, კოსტავას ქ. №5
ს/ კოდი - 442262711

„მიმწოდებელი"

ი/მ „ცაბუ გოგუა"
ს.ს. „ლიბერთი ბანკი" LBRTGE22
ს/კ 48001001301
ა/ნ GE75LB011212305514000
წარმომადგენელი: /ვ.იზორია/